

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები

„მოდის არჩევნებზე“

პრეზენტაციური
ბიზნესგეგმა



ცესკო

საქართველოს საარჩევნო
აღმინიჭრე

ახალი თაობა
დემოკრატიული არჩევნები



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და

სწავლების ცენტრი

პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ. საგრანტო



პროექტის განხორციელების საფუძველი

- **2018 წლის საგრანტო კონკურსი**
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
- **ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები**
“ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები”



პროექტის მიზნები

- **პროექტის საბოლოო მიზანი**

არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის ჩატარებული საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიის შედეგად ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ელექტორატში ჩამოყალიბდა ძალზედ მნიშვნელოვანი მენტალური ცვლილებები, თითოეულმა ამომრჩეველმა გააცნობიერა შემდეგი პრინციპი - სახელმწიფო, პრეზიდენტი მოსახლეობისა და ამომრჩევლისათვის და არა პირიქით.

- **პროექტის უშუალო მიზნები:**

-ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ამომრჩეველთა ინფორმირება 2018 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის;

- ამომრჩეველთა ინფორმირება საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების და არჩევის წესზე, ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმებზე, არჩევნების და კენჭისყრის პროცედურების შესახებ.



პროექტის ამოცანები

- საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი;
- ამომრჩევლის და „რჩეულს“ შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპები;
- ამომრჩეველთა უფლებები და კენჭისყრის დღის პროცედურები;
- ქალ-ამომრჩეველთა ინტერესის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი;



პროექტის ამოცანები

- ინკლუზიური არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საქართველოს კონსტიტუცია, მოქალაქეობა და ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური გარანტიები;
- საქართველოს საარჩევნო ისტორიის გაცნობა.



განხორციელების გზები

პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროექტის ხელმძღვანელი, ლოჯისტიკის მენეჯერი, შეხვედრების კოორდინატორი და ტრენერი/მომხსენებელი. ჯგუფმა განახორციელა ღონისძიებები შემუშავებული გრაფიკის მიხედვით

01.08.2018 - 30.08.2018	მოსამზადებელი სამუშაოები: ქ.თბილისი. ფურცელაძის 23
13.09.2018 – 15.09.2018	შეხვედრები რაიონის აქტივთან: ოზურგეთი, ლანჩხუთი და ჩოხატაური
14.09.2018	შეხვედრები სოფლებში: ბუნარი და ჯვარცმა
15.09.2018	შეხვედრები სოფლებში: ახალშენი, ხოდისთავი და გუთური.
16.09.2018	შეხვედრები სოფლებში: მაღალი ჯუმათი და ბაილეთი
17.09.2018	შეხვედრები სოფლებში: მხარაძე და გურიანთა
18.09.2018	შეხვედრები სოფლებში: მერია და სუფსა
19.09.2018	შეხვედრები სოფლებში: შუხუთი და ნიგოითი
20.09.2018	შეხვედრები სოფლებში: აცანა და მამათი



განხორციელების გზები

ჩვენი პროექტი განხორციელდა გურიის სამივე მუნიციპალიტეტში. პროექტის განხორციელებისთვის შეიქმნა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროექტის ხელმძღვანელი, შეხვედრების კოორდინატორი, ლოჯისტიკის მენეჯერი და ტრენერ/მომხსენებელი. ჯგუფმა განახორციელა ყველა დაგეგმილი ღონისძიება შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

ორგანიზაციას თავის არსებობის განმავლობაში განხორციელებული აქვს სხვადასხვა სახის აქტივობა, რომელშიც ჩართული იყვნენ საქართველოს მოქალაქეები თითქმის ყველა რეგიონიდან, მათ შორის გურიის რეგიონიდანაც. შესაბამისად პროექტის პირველ მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენ ჩამოვაყალიბეთ 4-5 ადამიანისაგან შექმნილი მოხალისეთა ჯგუფი, სადაც გავითვალისწინეთ გენდერული პრინციპი. მათი ამოცანა იყო პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად გაავრცელონ ინფორმაცია სამივე მუნიციპალიტეტში. ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, გამგეობის მიერ გამოყოფილ ადგილზე მოეწყო შეხვედრა მუნიციპალიტეტის აქტიურ მოქალაქეებთან, რომელთაც გავაცანით ინფორმაცია პროექტის შესახებ და საარჩევნო ექსპერტ/ტრენერმა დეტალურად გააცნო ამომრჩევლებს ინფორმაცია საქართველოში სახელმწიფო მოწყობის, პრეზიდენტის უფლებამოსილების, ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმების, არჩევნების და კენჭისყრის პროცედურების შესახებ. ეს აქტიური მოქალაქეები თავიანთ მუნიციპალიტეტებში შემდეგ ავრცელებდნენ ინფორმაციას და ორგანიზებას უწევდნენ ადგილზე შეხვედრებს. წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით განხორციელდა ავტოტური, ამომრჩევლებთან შეხვედრები და მათ შეხვედრის შემდეგ გადაეცათ საინფორმაციო მასალები: ფლაერი, კალენდარი, კალამი და ასე შემდეგ. შეხვედრების მონაწილეები იყვნენ სოფლებში მცხოვრები ამომრჩევლები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან გურიის N 60, N 61 და N 62 საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე. მონაწილეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის, როგორც კაცი ასევე ქალი ამომრჩევლები, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი ქალბატონებზე გაკეთდა, რადგან საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობა ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა აქტიურობის გაზრდას.

შეხვედრის მონაწილეებს გადაეცათ:

- ა) საინფორმაციო ფლაერი (5000 ცალი).
- ბ) კალენდარი 5000 ცალი).
- გ) საინფორმაციო პლაკატები

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები



- 93 მონაწილეს გადაეცა სამუშაო რვეულები, სახელმძღვანელოები, საჩუქრები და ინვენტარი, გაფორმებული პროექტში მონაწილე ორგანიზაციების ლოგოებით.






რაოდენობრივი მაჩვენებლები

- ჩატარდა სამი შეხვედრა სამივე მუნიციპალიტეტში აქტივისტებისთვის და შემდეგ 5-5 შეხვედრა ამ მუნიციპალიტეტების სოფლებში სულ 15 შეხვედრა;
- შეხვედრებს დაესწრო 93 ბენეფიციარი, აქედან 42 ქალი და 51 მამაკაცი;
- პროექტის შესრულების დროს შეხვედრებს ესწრებოდნენ რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმომადგენლები, ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტები, რეგიონის აქტიური მოქალაქეები და უბრალოდ ამომრჩევლები.

ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები



- 3 საინფორმაციო შეხვედრა გურიის მუნიციპალიტეტებში



ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები



- პროექტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები გურიის მუნიციპალიტეტის სოფლებში
- თითოეულ მუნიციპალიტეტში შედგა 5-5 შეხვედრა.





- პროექტის შესრულების წინასწარი სამუშაო პროცესი



გადლობა ყურადღებისთვის!



ცენტრი

საქართველოს ელექტრონიკის
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

პროექტი დაფინანსდა სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.